## შიშ პალი

# ბაყაყი და ვარსკვლავები

ილუსტრატორი: **პროიტი როი**

ბაყაყს ვარსკვლავების ცქერა უყვარდა. უნდოდა ამხტარიყო და მათ მისწვდომოდა.

ერთ ღამეს გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ვარსკვლავებამდე მიეღწია!





დიდ ქვაზე აძვრა და ვარსკვლავებს წაეპოტინა. მაგრამ მათთვის ხელის შევლება მაინც ვერ შეძლო.

ისინი ისე შორს იყვნენ!



მერე ერთი ბორცვაკი დაინახა. ზედ აძვრა და ვარსკვლავებს წაეპოტინა. მაგრამ მათთვის ხელის შევლება მაინც ვერ შეძლო.



ბაყაყმა იქვე  მაღალი პალმის ხე დაინახა.

– უჰ, რამსიმაღლეა! – გაიფიქრა მან, – ახლა კი მივაღწევ მიზანს!

ხეზე აძრომას შეუდგა. ბოლოს რის ვაივაგლახით აძვრა.

ვარსკვლავებს წაეპოტინა... მაგრამ მათთვის ხელის შევლება მაინც ვერ შეძლო.



ძალიან დაღონდა. ქვემოთ ჩაიხედა. შიშისაგან კინაღამ გული გაუჩერდა.

უცებ ხის ძირას გუბე დაინახა. წყლის ზედაპირზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ.

ბაყაყმა ვარსკვლავებს შეხედა და კარგ გუნებაზე დადგა.

გულზე ხელი მიიდო და საკუთარ თავს უთხრა: „არ მეშინია! მე ამას შევძლებ!“

ადგა და... ჰოოპ! – პირდაპირ გუბისკენ ისკუპა.

რაც უფრო უახლოვდებოდა გუბეს, მით უფრო ახლოდან ხედავდა ვარსკვლავებსაც.

– ჭყლაპ!

ბაყაყი გუბის ზედაპირს დაენარცხა.

– ეეჰ, აქედანაც ვერ მივწვდი, – გაიფიქრა ნაღვლიანად.

ამოძვრა, ნაპირზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა.

– უი, სამაგიეროდ, შემიძლია, როცა მომინდება, ცაში ვუყურო ბრჭყვიალა ვარსკვლავებს და როცა მომინდება – მიწაზე! – ჩაიხითხითა მერე. გემრიელად მოკალათდა და მთელი ღამე ხან ცაში შესცქეროდა ვარსკვლავების ციმციმს, ხანაც – გუბეში.

წიგნის სათაური: **„ბაყაყი და ვარსკვლავები“**

კლასი: **2-3**

ტექსტის ტიპი: **მხატვრული, თხრობითი**

რა სურვილი შეიძლება ჰქონდეს ბაყაყს, რომელსაც ვარსკვლავების ციმციმის ყურება უყვარს?

ერთ მშვენიერ ღამეს მან გადაწყვიტა, როგორმე მოეხერხებინა და ვარსკვლავებს მისწვდომოდა! ამისათვის მართლაც ბევრი იშრომა – აცოცდა ბორცვაკზე, უზარმაზარ პალმის ხეზეც კი...

წაიკითხე და გაიგე, ბოლოსდაბოლოს აისრულა თუ არა სურვილი ბაყაყმა.

USAID საბაზისო განათლების პროგრამა

This book has been provided as part of the USAID Basic Education Program in Georgia. It has been adapted from the original story and translated into Georgian.
This story: “Frog’s Starry Wish” is translated by Alisha Berger. The © for this translation lies with Room to Read, 2016. Some rights reserved. Released under CC BY 4.0 license. Based on Original story: ‘मेढक का तारों भरा सपना’, by Sheesh Pal. Illustrator: Proiti Roy© Room to Read, 2016. This book was made possible by Pratham Books’ StoryWeaver platform. Some rights reserved. Released under CC BY 4.0 license.